F 247 N 491

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშაისა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 იანვარი 1918 წ.

ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Бюдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Бюдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

№ 11 — რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. — 11

ფასი 10 კ.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვოკრი პრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების შესრულებულ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასისზე მეტი

ქველა რაიონების პარტიულ ამხანაგების ყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სიძნელოვის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს. დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის ხდომაზე დაადგინა შემდეგი: მეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციას, რომ წელიწადში ერთხელ გადასდონ ერთი დღის შოსავალი. ეგეროვილი ოული ორგანიზაციები ვალდებულ წარ დგენენ კომიტეტის ხაზინდარს ამ ფულის (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

მაჰმადიანობა და ქართველი მენშევიკები.

მას შემდეგ, რაც ქართველ მენშევიკების ლიდერებმა ქართულ ნაციონალურ საბჭოში მოიკალათეს, ისინი ომის გუნებაზე დ დგენ. ქართული ნაციონალური საბჭოს ერთ უმთავრეს მოვალეობათ ქართული ჯარის მოწყობა შეიქმნა. ამიტომ, როგორც მკითხველებმა იციან ამ ერთი თვის წინეთ, ნ. ჟორდანიამ, როგორც ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ, და ნ. რამიშვილმა, როგორც სხვა საბჭოს სამხედრო საქმეების გამგემ (სხვა ნაირათ რომ ვთქვათ, სამხედრო საქმეთა მინისტრმა) ქართველ მხედრობის მოწოდებით მიმართეს. ამ მოწოდებაში ქართველ მენშევიკების ცნობილი ლიდერები ამტკიცებენ, რომ ოსმ ლეთის შემოსევის ასაცდენათ და ეროვნული კულტურის დასაცავათ საჭიროა „პირველ ყოვლისა გაწვრთნილი სამხედრო ძალა. ამ ძალის შექმნას უკვე შეუდგენ კავკასიის ერები, ახლა ჯერი მიდგა ჩვენზე. ამიტომ იყო, რომ ყველა ჩვენში მოქმედ პოლიტიკური პარტია გარდა ბოლშევიკების უმნიშვნელო ჯგუფისა შემოკრბა საქართველოს ეროვნულ საბჭოს გარშემო და მას უპირველესათ ქართველი ჯარის მოწყობა მიანდო („ერთობა", № 216). შემდეგ ჟორდანია და რამიშვილი მოუწოდებენ „ქართველ მხედრებს—ჯარის კაცებს და აფიცრებს" მიატოვონ ფრონტი, გამოე შურონ საქართველოსაკენ, ჩაეწერონ ქართულ პოლკებში და შეადგინონ „ძლევამოსილი და გაწვრთნილი ქართველი ჯარი". როგორც ხედავთ, ქართველი მენშევიკები აშკარათ და მეკობ მოუკიბავათ მოუწოდებენ ქართველ ხალხს მედგარი ჯარის მოსაწყობათ; ისინი უკვდაგებენ მას ასეთი ჯარის აუცილებელ საჭიროებას გარეშე მტრისგან დასაფარავათ და ეროვნული კულტურის დასაცავათ. ისინი ავიწყებენ ქართველ ხალხს, რომ ასეთი ჯარის შედგენას უკვე შეუდგენ კავკასიის ერები და ახლა ჯერი ქართველებზე მიდგა. ვინ უყვეთ ამ მხედველობაში ჟორდანია-რამიშვილებს? ალბათ სომხები და თათრები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნაციონალისტურ ჯარების შედგენას ამ ერებში შეთანხმებენ უკიდურესი ნაციონალისტები? ვინ არ იცის ბაქოვე ის, რომ ამასვე ჟამდაებენ წინეთ და ამასვე ჟამდაგებენ დღეს ქართველი ნაციონალისტებიც. აქედან აშკარაა, რომ ქართველ მენშევიკებსა და ნაციონალისტურ პარტიებს შორის სრული სოლიდარობა ჩამოვარდა, ე. ი. არსებითათ ისინიც შოვინისტურ პარტიათ იქცენ.

ამნაირათ ქართველმა მენშევიკებმა თითქმის სრულებით უკუაგდეს ინტერნაციონალიზმის პრინციპებს; იმათ დაივიწყეს, სხვათა შორის, სოც.-დემ. პროგრამა, მისი მეშის ერთი ძირითადი მოთხოვნა-საყოველთაო შეიარაღება ანუ სახალხო მილიციაც. ამ მოწოდების შემდეგ ქართველი მენშევიკები დიდი ენერგიით და გულმოდგინებით შეუდგენ პროპაგანდას ქართველი მუდმივი ჯარის დასაარსებლათ. ამ მოყვა მილიციზაციის პროექტი, რომელიც ამას წინაზე მენშევიკების მეორე ლიდერმა და იმავე დროს ქართველი ეროვნული საბჭოს ერთმა ბურჯთაგანმა, ბ-მა ჩხენკელმა გამოაქვეყნა. ამნაირათ ახალი მობილიზაციის, ე. ი. ჯარში ახალი გაწვევა პირდაპირი ლოღიკური ნაბიჯი იყო ქართველ მენშევიკებისა ნაციონალისტური და შოვინისტური გზისე შედგომის. ჩვენ ჩვენს მენშევიკებს, ამ გამოცდილ ავანტიურისტებს, ამ შემთხვევაში ნიჭიერ სტუდენტებს, ვაცნობეთ, რომ ამერი-კავკასიის მთავრობა მობილიზაციას ახდენს, რომ ხალხში უკმაყოფილება დაბადებულიყო. მართალია, ნ. ჟორდანია, კრებებზე გაიძახოდა, რომ გურიაში ხალხი დიდი სიამოვნებით შეხვდა ცნობას მობილიზაციის შესახებო; მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქაც რაღაც გაუგებრობაა. ასეა თუ ისე, მენშევიკებმა ამ შემთხვევაში ალღო ვერ აუღეს ხალხს: იმათ გვონათ, რომ რასაც ისინი უბრძანებდნენ ხალხს, ხალხი იმათ უთქმელათ დაემორჩილებოდა, როგორც ეს არჩევნების დროს ხდება ხოლმე. ეხლა ისინი, ზოგი იმათგანი მაინც, დარწმუნდნენ იმაში, რომ მობილიზაციას აუცილებლათ ჩაშლა მოჰყვა, რომ მობილიზაცია ჩვენში დღეს პირდაპირ სისულელეა; ამიტომ თვით მენშევიკებში გაჩნდა ერთი ჯგუფი, რომელსაც სურს მენშევიკების პარტია იხსნას იმ გახორწინებ-გან, რომელსაც დღეს ეს პარტია, თავის ლიდერების შოვინისტური ტაკტიკის წყალობით განიცდის, ახლა მენშ. იგონებენ ხალხის საყოველთაო შეიარაღებას და სახალხო მილიციას, „ერთობის" ფურცლებზე ამ უკანასკნელ დროს. ე. ი. მობილიზაციის საკითხის განხილვის დროს ხშირათ შეხვდებით წერილებს ამის შესახებ. მაგრამ სად იყვენ ეს ვაჟბატონები ბაში, როცა მენშევიკების ლიდერები ეროვნული საბჭოდან ქართველ ხალხს მოუწოდებდნენ გაწვრთნილი და ძლევამოსილი ქართველი ჯარის შესადგენათ? დღეს ისინი ჩაიფლენ ტალახში ისე, რომ იქიდან ამოსვლა მათ არ შეუძლიათ. დღეს იმათი ორგანო („ერთობა"), ლაპარაკობს იმ ენით, რა ენითაც ამ 15—20 წლის წინეთ ლაპარაკობდა განსვენებული „ივერია" ილია ჭავჭავაძის დროს. „ჩვენ არ შეგვიძლია—ვკითხულობთ „ერთობის" სარედაქციო წერილში,—და არც გვინდა ომი... მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ მოსალოდნელ დარბევას, ჩვენი ცოლშვილის შეურაცყოფას, მამა-პაპის საფლავის წაბილწვას, ჩვენი ქონების განადგურებას და სახელის გატეხასო" (№ 5). ცნობილი ენაა ყველა შოვინისტების და ყველა ჯურის ნაციონალისტებისა ვის ამნირებენ ან ვის ატყუებენ ეს ვაჟბატონები, რომელთაც თავი მარქსისტებათ და სოციალისტებათ მოაქვთ? მაგრამ ერთი კი უნდა ვკითხოთ ამ უებრო რაინდებს: თუ თქვენ არ გინდათ ომი, რათ უცხადებთ რუსის სალდათებს ომს, რათ უსევთ მათ ქართველ ჯარისკაცებს და რათ ყრით მათ იარაღს? ასეთი თქვენი მოქმედება მართლა რომ ნამდვილი ავანტიურაა, რასაც თქვენ თავზე ატეხთ თქვენზე გულუბრყვილობით დანდობილ ქართველ ხალხს. მაგრამ, იცოდეთ, რომ მოხლოვებულია ის დრო, როცა ქართველი ხალხი, ე. ი. ქართველი გლეხკაცობა და მუშები, გაიგებენ თქვენ ნამდვილ სულისკვეთებას.

კანონი ბანკებზე.

როგორც ვიცით სახალხო კომისარების საბჭომ ბანკებზე ახალი კანონი გამოსცა; ეს კანონი დღეს რუსეთში თითქმის გატარებულია ცხოვრებაში.

ბანკს მეტათ დიდი როლი უპირავს კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ფული—ეს უდიდესი, გადამწყვეტი ძალაა დღევანდელ ცხოვრებაში და აი ბანკებიც სწორეთ ისეთ ადგილს წარმოადგენენ, სადაც ყოველ მხრიდან თავს იყრის ფული და საიდანაც შემდეგ სხვადასხვა მხრით მიმდინარეობს. აქედან ცხადია, რომ ბანკის მართველ-გამგენიც კაპიტალისტები არიან და რა გასაკვირველია, თუ ისინი ამ ოქროს ნაკადულს ისეთ მიმართულებას აძლევენ, როგორიც რაც შეიძლება მეტ მოგებას მისცემს მათ თანამოძმე მსხვილ კაპიტალისტებს.

ხალხთა ცხოვრებაში მხშირათ უდიდე

სი კითხვების გადაჭრა სწორედ ამ ბანკებზეა დამოკიდებული. მეფეთა და ბურჟუაზიულ რესპუბლიკების პარლამენტების ზურგს უკან დგანან ბანკირები და და მათ პოლიტიკას და მუშაობას თავის ნებაზე აწარმოებენ. როგორც მეფენი და რესპუბლიკელნი, ისე დიპუტატები ერთნაირათ ცდილობენ ამ მოსაქმე კაპიტალისტების სტვირზე. როგორც ომს ისე ზავს ქვეყნის მმართველნი სწორედ ამ ფინანსიური კაპიტალის ჩვენებით სწყვეტენ.

ბანკები თავისი საშუალებით ინახავენ ბურჟუაზიულ პრესას, რომელიც ხალხს იმას აგონებს, რაც ფინანსიურ კაპიტალს ნებავს.

ბანკები წინათ რუსეთში მეფის მთავრობის ყაღაღჯენს შეადგენდენ, ხოლო ახლა, რევოლიუციის ხანაში ისინი მხოლოდ კონტრ-რევოლიუციას ასაზრდოებენენ.

საფრანგეთის ბანკები, წინათ მაგალითად მეფეს ფულს აძლევდენ და ამით მას ტახტზე ამაგრებდენ. ახლა კი იგივე ბანკირები ფულით ზურგს უმაგრებენ უკრაინის კონტრ-რევოლიუციონურ რადას და დიდი დახმარება გაუწიეს კორნილოვის აჯანყებასაც. მოკავშირე სახელმწიფოების ბანკები ფულს აძლევდენ კერენსკის მთარობას და სესხზე უარის თქმის შიშით კოალიციონურ მთავრობას იძულებულს ხდიდენ ომი გაეგრძელებია მას.

ერთი სიტყვით ბანკები ქვეყნის პოლიტიკას თავის ჯიუზე ატრიალებენ. მაგრამ კიდევ უფრო დიდია ბანკების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისათვის და ამას ახლა კარგათ გრძნობენ რუსეთის მუშები და სალდათები.

კაპიტალისტები ფულს ღებულობენ ბანკებიდან, რომ მოაწყონ ფაბრიკები, ქარხნები, სამთამადნო სამრეწველოები, რომ აწარმოვონ საქმე და მუშების ქირა გაისტუმრონ. ბანკების მმართველ-გამგეებზეა დამოკიდებული ვის მისცენ ეს ფული და ვის უარი უთხრან; და ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა ისინი, კაპიტალის ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ამ გამო, მაგალითად ბანკები ფულს აღარ აძლევენ ქარხნებს რის გამოც ეს ქარხნები იხურება: ქურებში უმუშევრები ათასობით მრავლდება. ამნაირათ უფულობა (უკრედიტოთ) უნდა დაიხუროს ბევრი ისეთი ქარხანა, ფაბრიკა და სამადნო სამრეწველოები, რომლებით ყველასათვის უსაჭიროეს საგნებს ამზადებენ; რკინას, ნახშირს, ქსოვილებს, მანქანებს და სხვებს.

გარეშე იმისა, რომ დღეს ყველა ფულიანი შიშობს და ფულს სესხათ არავის აძლევს, ბანკები განზრახ ცდილობენ, რომ გამოიწვიონ უმუშევრობა, შიმშილი, საქონლის ნაკლებობა, გაზარდონ ეკონომიური არეულ-დარეული და ამით ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანონ, „მშიერთა ბუნტები,“ ჯანყი გამოიწვიონ და შერე ბრალი საბჭოთა მთავრობას დასდონ. რადგან კერძო ბანკებს ფული ცოტა აქვთ, მათ სახელმწიფო ბანკი მიეშველა; მარა საბჭოთა მთავრობამ დაადგინა, რომ კერძო ბანკებმა ეს ფული იმისთვის არ გაიხმაროს, რისთვისაც მათ მიღებული აქვთ და მათ სურთ. ბანკები ამის თავიდან ასაშორებლათ განზრახ ფიქტიურ მიმდინარე ანგარიშებს ხსნიდენ, ვითომ ფული სხვა საჭიროებაზე მიდის და ქარხნებსადა ფაბრიკებს კრედიტზე უარს ეუბნებოდენ.

ამ ბანით საჭირო სახელმწიფოში მრეწველობის დემობილიზაცია მოხდეს: საბრძოლო იარაღისა და მასალის ნაცვლათ ცხოვრებისათვის საჭირო ნივთები უნდა დამზადდეს: ფეხსაცმელი, ქსოვილები, გუთნები და მანქანები. მაგრამ ამისთვის საჭირო ფული იმ დაწესებულებებს მიეცეს, რომლებიც უსაჭიროეს ნივთებს ამზადებენ, ბანკები კი ფულს მხოლოთ ისეთ საქმეებზე აბანდებენ, რაც ფულის პატრონებს მეტ მოგებას აძლევს და სულაც არ დაგიდევენ იმას, თუ რაა ხალხის მეურნეობისათვის სასარგებლო და არა საზარალო.

ყველა აშკარათ ხედავს, თუ როგორ ხელს უწყობენ შიმშილობას და ეკონომიურათ დაშლას ის მოსაწყინებები, რომლებიც საბჭოთა მთავრობასთან ერთათ მუშაობაზე უარს ამბობენ. საბოტაჟს აცხადებენ. აღმოჩნდა, რომ მათ ბანკები ფულითაც ეხმარებოდენ და ამაგრებდენ. ამნაირათ ბანკები ხალხს შიმშილით სიკვდილს უმზადებდენ, როცა ისინი დემოკრატიულ ორგანიზაციებს ფულს ერთიანათ უსპობდენ. აშკარაა, რომ ეს ბანკები ქმნიდენ ხელოვნურათ შიმშილს და ეკონომიურათ შლიდენ ქვეყანას, ერთი სიტყვით ისინი უსაშინელეს კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკას აწარმოებდენ. ამნაირათ ბანკები ხალხის ყველაზე უდიდეს და მ ვნე ფურებელებათ, სპეკულიანტებათ გამოდიან. ისინი იძენენ საჭირო საქონელს, შალავენ სადღაც ამ საქონელს, აძვირებენ ცხოვრებას წარმოუდგენელ სიმაღლემდე.

ჩვენ ვხედავთ, რომ ბანკები მთელ იმ ძალას, რაც ფულშია ჩაქსოვილი, ხმარობენ მსხვილი კაპიტალისტების, სპეკულიანტების სასარგებლოთ და ხალხის სამტროთ.

საბჭოთა მთავრობას, როგორც ხალხის მცველს, ბოლო უნდა მოეღო ბანკების ასეთი კონტრრევოლიუციონური დანიშნულებისათვის. მით უფრო, რომ ეს ბანკები სულ ერთიანათ შლიდენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას. ისინი ამაგრებდენ კონტრრევოლიუციას და საბოტაჟს, აბრკოლებდენ სასურსათო საქმეს, და ბოლოს მათი ცალკერძი მოქმედება მეტათ ხელს უშლიდა თითქმის ერთიანათ შლიდა საბჭოს მთავრობის მოღვაწეობის ერთ მთავარ მხარეთაგანს, სახელდობრ სახელმწიფოში წარმოების მოწყობის საქმეს.

ახლა, მაგალითად, თითქმის შეუძლებელი მოეწყოს წარმოება სისწორით: ნახშირის, რკინის, მანქანებისა და პირველ საჭიროების საგნების ისე, თუ ბანკებიდან ფულის გატანის საქმე შესაფერათ არ მორიგდება. აი რატომ გადაწყვიტა საბჭოთა მთავრობამ კერძო ბანკები თავის კანტროლ ქვეშ დაყენოს; მარა მათთვის საკმაო არც ეს შეიქნა, ვინაიდან ისინი ათას გვარი მახინაციებით ახერხებდენ მთავრობის კანტროლის თავიდან აცდენას და ხალხს თვალს უხვევდენ. და აი სწორედ ამ დროს აუცილებელი შეიქნა შესაფერი კანონის გამოცემა და კადეც გამოცხადდა ბანკების ნაციონალიზაცია. ამ კანონით ბანკი ეკუთვნის მხოლოთ სახელმწიფოს; კერძო პირთ და დაწესებულებათ არ შეუძლიათ ბანკები გახსნან. ყველა დღემდე არსებული ბანკები და საბანკო კანტორები გაერთიანებულია სახელმწიფო ბანკთან და ამიერიდან ყველა ბანკებს გაანგარებს სახელმწიფო ბანკის საბჭო. ასეთი გაერთიანებით მუშათა და გლეხთა მთავრობას საშუალება ეძლევა სრული კანტროლი გაუწიოს ყველა ბანკებს. ახლა მთავრობას შეუძლია თვალყური ადევნოს, თუ ბანკებიდან გატანილი ფული რას ხმარდება? შეუძლია ფული იქით მიმართოს, სადაც ხალხის მეურნეობა საჭიროებს. ცხადია ამით ბანკი ფულის შეტანით კაპიტალზე პროცენტებში ისეთ ეძლეთათ, რადგან ეს კაპიტალი ჯერ ისევ კერძო საკუთრებას შეადგენს.

მაგრამ მსხვილ კაპიტალისტების ქისას ასეთი სახელმწიფოებრივი კანტროლი მეტათ მწვავეთ ეხება ის ოქროს დღეები, როცა ეს ვაჟბატონები ოქროით თითქმის სარდაფებს ავსებდენ, ზღაპრულ მოგებას იღებდენ, ახლა საბჭოს მთავრობის კონტროლ ქვეშ სამუდამოთ უნდა გაჭრეს, როცა ისინი იძულებულნი გახდებიან მთავრობას თავიანთი „დავთრები“ გადაუშალონ და ანგარიშები წარუდგინონ, მაშინ მუშათა მთავრობას ადვილათ შეუძლია მათ შესაფერი დაუზოგველი ბარაქა შეაწეროს, ვინაიდან ნ მათ აღარ შეეძლებათ თავისი შემოსავლის წყაროო და რაოდენობა ხალხს დაუმალონ. ბურჟუაზიული ქუჩა აყაყანდა, ვითომ ის ამით გაძარცვეს, მარა ეს სიცრუეა. ახალი კანონით ბანკებში შეტანილი ყველა ფულები მათი პატრონების საკუთრებათ დარჩება და მათ არც ერთი კაპეიკი არ ეკარგებათ; მხოლოთ საქმე იმაშია, რომ ამიერიდან ისინი ისეთ „უმოწყალო“ მოგებას ვერ მიიღებენ, როგორც წინათ იღებდენ. ცხადია აქ ყველაზე მეტათ იზარალებენ მსხვილი კაპიტალისტები, რაც შეეხება წვრილებს, მათი ინტერესები ახალი კანონით ოდნავაც არაა შელახული, პირიქით კანონში პირდაპირ აღნიშნულია: „მცირე თანხების პატრონების ინტერესები უზრუნველ ყოფილი იქნებაო“. ამიტომ „ობივატელის“, ყველა ნაირი შიში უსაფუძვლოა.

ამ კანონით მუშათა და გლეხთა მთავრობამ ისიც ნათლათ დაგვანახვა, რომ ის არავითარ ღონეს არ დაზოგავს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და არაფრის წინაშე არ შედგება. მაგრამ იმისთვის, რომ საბჭოთა მთავრობა წინ წავიდეს ცხოვრების მოწესრიგების საქმეში მუშათა და გლეხთა რესპუბლიკაში იმისთვის, რომ მან შესძლოს წარმოების მოწყობა, ფეხზე დაყენება, მისცეს საკმაო პური და მაშინები ქალაქს, ქსოვილები ანუ ფართალი და გუთანი სოფელს, საჭიროა მთელი რესპუბლიკის ყველა მუშებმა, გლეხებმა და სალდათებმა მთელი თავისი ძალღონით მხარი მისცენ მას, ვინაიდან კაპიტალისტებიც ყოველ ღონეს ხმაროპენ მის საწინააღმდეგოდ, და ამ წინააღმდეგობის დაძლევა მეტათ მძიმე საქმეა.

მაგრამ ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ თუ რუსეთის რევოლიუციონურმა მუშებმა, სალდათებმა და გლეხებმა დღემდე დიდი დაბრკოლებები გადალახეს, ისტორიულ მიზნებს მიაღწიეს, დღეს ისინი უთუოთ ამ ისტორიულ დიად მიზანსაც მიაღწევენ. (ს. ჯრ.).

გურიის ენეშევიზმსაც შეუდგა წვალი.

2 იანვარს სოფ. შემოქმედში მენშევიკების ინიციატივით მოხდა სახალხო მიტინგი. მიტინგი მოიწვიეს მენშევიკებმა, რომ ესარგებლათ ბალშევიკების არ ყოფნით და თანამედროვე მომენტი თავისებურათ გაეკნოთ ხალხისთვის. მაგრამ ცოტად თუ ბევრათ იმათ მოლოდინს ფრთები შეეკვეცა. მომხსენებელთა როლში გამოვიდა თბილისელი მუშა სალუქვაძე. მან ორი საათი ილაპარაკა თითქმის და ეს დრო მან მოანდომა ბალშევიკების მთავრობის თავისებურად დახასიათებას. მან ილაპარაკა დროებით ხელისშეკვრის საშიშროებაზედ, დაწუნებელი კრების გარეკაზედ და სხვა წათამამებული, ხომ მენშევიკ-მომხსენებლებს არაფერ შეეკამათა, დაიწყო ლაპარაკი „ახალ გამომცხვარმა სოციალისტმა“ ბ. მელიქიშვილმა. ბ მელიქიშვილმა მომხსენებელივით დაიწყო ლაპარაკი ბალშევიკების მთავრობაზედ, დამფუძნებელი კრების გარეკაზე, პლეხანოვის შეურაცყოფაზე და სხვა. ბალშევიკების გინებით კი გული მან მაინც ვერ მოიჯერა, თუმცა დორბლები წამოყარა პირიდან მათი გინების დროს. სხვათა შორის ბ. მელიქიშვილმა აღნიშნა ამიერ-კავკასიის კომისარიატის, მისი ჯუთით დიდი საქმიანობა. „ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, სთქვა მან, ყველაფერი მოაწყო რიგზედო; ზავი შეკრა ოსმალეთთან, წოდების გაუქმების დეკრეტი გამოსცაო“ და სხვადა სხვა. შერე გადის ტრიბუნაზე ვაჭარი ჯარის კაცი გვარ-ვარდაძე, მოქალაქენო, მიმართა მან ხალხს, კრების დაუყვირდით და ჰკუფიქრდით, თუ რათ არის საჭირო წითელ გვარდიაზე (წითელ გვარდიაზე მუშამ და მელიქიშვილის მომხსენებელმა თუ არა წინააღმდეგ ქართველობა, რომელნიც წინააღმდეგ [illegible] შორის სისხლის ღვრისა, [illegible] თუმც მენშევიკები ბოლშევიკებს ახვევენ თავზედ, მაგრამ დღეს კი აშკარაა, რომ მენშევიკებს არ აცდება სამოქალაქო ომის ბრალდებაო. წოდების გაუქმების დეკრეტზე ამხანაგმა გვარჯალაძემ ბ. მელიქიშვილის საპასუხოთ სთქვა, რომ თუმცა მენშევიკები გაძახიან, წოდება გაუქმებულიაო, მაგრამ მარტო წოდების გაუქმების დეკრეტით არაფერი არ შეცვლილაო. ისინი (მაღალი წოდების ხალხი) უწინდებურათ განცხრომით ცხოვრობენ და ჩვენ კი კვლავ კუჭი გვიხმება შიმშილითო; და აგრეთვე ორიოდე სიტყვით აღნიშნა მენშევიკების დემაგოგია ბალშევიკებზე და მათ მოქმედებაზე. გაუმარჯოს ზავს და პურს, სთქვა მან და გაათავა სიტყვა. ის დაუსრულებელი ტაშით გაისტუმრეს. მერმედ დაიწყო ლაპარაკი გურიის „არაგვირგვინოსანმა პატარა მეფე კოროლმა“ ბ. საბაშვილმა. ბ. საბაშვილმა დაიწყო ლაპარაკი იმ მიზნით, რომ მის პროვოკატორულ სიტყვებს ხალხში განმავლობა ჰქონებოდა, მაგრამ სასტიკად მოტყუებული დარჩა. არ შემიძლია არ სავსებით მისი „შესანიშნავი“ სიტყვა არ მოვიყვანოთ: მოქალაქენო და ამხანაგებო, დაიწყო იმან, მე სულ არ მჭონდა „ქეიფი“ აქ ლაპარაკისა და ვიყავ „ზაპასში“ წამოსული, მე მეგონა რომ თბილისელი ბალშევიკების ლიდერი ფილიპე მახარაძე, რომელიც სახლში არის მოსული (სიდან სადაო წმინდა საბაო), აქ გამოვიდოდა და ილაპარაკებდა, მაგრამ სჩანს ვეღარ გამოვიდაო. ამ დროს გაისმის ხალხში: ტყუილია, ტყუილი; შენი შეეშინდა, ბატონო სბაშვილო!; ძირს, ძირს! და სხვა ათასი გამაჩუმებელი ხმები. „სოციალისტი“ სბაშვილი ირონიულათ იღიმება, რადგანაც ამას არ მოელოდა იმ ხალხიდან, რომელიც აქამდე მას და მისს გვარ „სოციალისტებს“ ტაშის ცემით და ავაცილებით ეგებებოდენ, მერმინდელს თავისს სიტყვაში ბეგრს რამეს ჩმახვს მიედგა-მოედება ხეს და მიწას, თუმც საზოგადოებაზე ვერაფერს გავლენას ვერ ახდენს. ბალშევიკებს კი თავისებური დემაგოგიით ნათლავს, რაც საზოგადოებაში დიდს უკმაყოფილებას იწვევს. ამ. ჯ.-ჯ. გვარჯალაძის სიპასუხოთ ის ამბობს, რომ წოდების გაუქმებით

* * *

მე არ ვარ მონა! არც არავის ძალით პყრობილი,
მე მებრძოლი ვარ, ამაყ სულით, თვალ-აპყრობილი!

დღე, ვიტანჯო, დე აღმომხდეს კვნესა, ქვითინი,
ტანჯვა მებრძოლთა არის მკობი, დაფნის გვირგვინი.

მე ვინცა მშობა, მიანდერძა ტყვირთ-მძიმე ხვედრი,
ჩემი სიცოცხლეც მას ეკუთვნის—მიიღოს ხვედრი.

ს. ურთაწმიდელი.

იწა ადგილებიც ჩამოერთმევა მაღალწოდებასო (ჰმ?) და სხვა. მეოთხე ლაპარაკობს ჯარისკაცი ცეცხლაძე, ის მდაბიო, ხალხური ენით უხსნის საზოგადოებას, რომ ბალშევიკები ნამდვილათ სოციალ-დემოკრატიის ბუდიდან არიან გადმოფრენილიო და საქმე დაგვანახვა ჩვენ რომ ყველაზე უფრო იმათ შესძლეს ჩვენი ინტერესების სამსახურიო. რევოლიუცია რომ მოხდა, ჩვენ გვეგონა, ჩვენი მოწინავე პირები, ნიკოლოზ რომანოვის მიერ ჩვენ კისერზე მობმულს ჯინის ღელეს გადაგვაძრობდენო; მაგრამ საშინლათ მოვტყუვდითო და არა თუ გადაგვაძვრეს ჯინის ღელი ჩვენმა ვითომდა **ინტერესების** დამცველებმა, როგორც ეხლა ნათლათ დავინახეთ, არამედ კ-დევ უფრო მაგრათ ვიქუდეს რვა თვის განმავლობაშიო. მერმეთ ბალშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება და ჩვენც გავთავისუფლდით იმ ჯინის ღელიდან და სახლში მოვედითო, მაგრამ ეხლა აღარც სახლში გვაყენებენ და კიდევ სადღაც გვერეკებიანო (ჯ.—კ ცეცხლაძის სიტყვას ტაშის ცემით და ვაშას ძახილით ეგებებიან). მერმეთ ლაპარაკობენ ჯარისკაცთა წარმომადგენლები, მაგრამ ბ. სამბაშვილმა აღარ დაუცადა მათ ლაპარაკს, რადგანაც იცოდა თავისი დანაშაული, რომელიც გამოაშკარავებოდა ჯ.-კაცთა სიტყვებიდან და წაბრძანდა სახლში, მისდა საბედნიეროთ ძველებურათ ოვაციებით ვეღარ გაისტუმრეს, როგორც იყო შეჩვეული აქამდე, ჯარისკაცთა მონდობილობით ილაპარაკა ზურაბაშვილმა და ივანე ჩიტაიშვილმა. უკანასკნელმა აცნობა საზოგადოებას, რომ ადგილობრივათ ჯ.-კაცებს დაუარსებიათ ჯარისკაცთა კავშირი, რომლის მიზანია, იხსნას თავიანთი უმწეოდ დარჩენილი ოჯახები მოსალოდნელ სასურსათო კრიზისის დროსო. კავშირებიო, სთქვა ჯ.-კაცმა, უნდა დაარსდეს ყოველგან და არა მარტო შემოქმედში. კავშირების წინააღმდეგ გაილაშქრა ბ. ჭარაიევიძემ. და აგრეთვე ოზურგეთის ახალმოდის მონარქიასაც სურდა მისი მოსპობა, მაგრამ ჩანს მათ ვერ მოასპობენ.

ამხ. ჯ. კ. ჩიტაიშვილმა აღნიშნა ოზურგეთის სამაზრო მთავრობის და სასურსათო კომიტეტის აშკარა კონტრრევოლიუციონერობა. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გაილაშქრეს თვით მოწინავე მენშევიკებმა (თუმცა კომიტეტი თვითონ ესერ-მენშევიკურია), ილაპარაკეს სხვა ჯარის-კაცებმაც და რადგანაც კომიტეტი არაფერზე არ ზრუნავს და [illegible] საქმის წარმოებას, და [illegible] მის წევრებს მიაქვს, დადგენილ იქმნა: სასურსათო კომიტეტი დაპატიმრებულ და პასუხისგებაში მიცემული სწორეთ ამას ელოდა ბ. სამაშვილი და მიტომ ვერ დაუცადა მიტინგის დამთავრებას. **ლადო შემოქმედელი.**

დეპეშები.

(პირდაპირი მავთულით)

სადგ. საღანლუ 13 იანვარი საღამოს 10 საათ. დღის სამ საათზე ეშელონთან ერთათ ჩვენც გავემგზავრეთ, გზაში ჩვენ დელეგაციას ჩამოეშორდით, მათ მხოლოდ ნ. რამიშვილი და მუსულმანთა დელეგაციის ნაწილი გაიყოლიეს.

პირველი ეშელონისათვის, რომელიც უკრაინელებისაგან შედგებოდა იარაღი არ აუკრიათ მე-2, 3, 4 და 5 ნახევარს ეშელონებს—მუსულმანთა რაზმმა და ჯავშნოსანმა მატარებელმა იარაღი აყარა. მაგრამ როცა ჯავშნოსანის რაზმი პატარიის იარაღის ჩაბარებას შეუდგა იქიდან ჯავშნოსანს ერთი ყუმბარა ესროლეს, რომლითაც მოკლულ იქმნა რაზმის უფროსი აუხაზავა და რამდენიმე რაზმელი; ხოლო მეორე გამოსროლილი ყუმბარით ჯავშნოსანი სულ ერთიანათ დაიმსხვრა. ამის შემდეგ სადგურ შამქორში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რომელშიაც მუსულმანთა კორპუსიც და ადგილობრივი მცხოვრებნიც მონაწილობდენ.

დაჭრილიც 200-მდე სალდათი. მოკლულების რაოდენობა გამორკვეული არაა, ისე კი როგორც ეტყობა, დახოცილთა რიცხვი დიდია. ამბობენ, რომ შარა გზებზე დახოცილთა გვამები ყრიან. ყველა მახლობელი სადგურები და სოფლებიც განადგურებულია.

გუშინ და დღეს დილით ეშელონების მატარებლები მშვიდობიანათ გაისტუმრეს სად. „ევლახიდან“ და „დალშამდელადან“ მოსამახურეები სულ გავიდენ რადგან მათზე ხელმეორეთ თავდასხმა მოახდინეს. რკინის გზის მთელ ლინიაზე მოძრაობა და მიმოსვლა მეტათ საშიში შეიქნა. განჯის გუბერნიის ადმინისტრაციას ძალა არ შესწევს წესიერება აღადგინოს, მაგრამ ადგილობრივ თათრებს თვითონ იმედი აქვთ, რომ საკუთარი ძალღონით ამას შესძლებენ.

თბილისიდან წამოსული დელეგაცია, რომელსაც ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობს აქსტაფაში შეჩერდა, სადაც ის ქ. ყაზახიდან ჩამოვიდა; ახლა ისინი განჯისკენ ეპირებიან.

აფხაზავა მოკლეს 10 იანვარს ღამით.

მეორე რაზმის წინამძღოლმა მაღალოვმა ამის შემდეგ დეპეშით ითხოვა, რომ თანამდებობიდან გაანთავისუფლონ. გამოირკვა, რომ ზარბაზნის ყუმბარისგან დაიმსხვრა მხოლოთ ერთი ვაგონი; დანარჩენი ვაგონები აბზავას გვამითურთ თბილისისაკენ გაისტუმრეს.

როსტოვი. ეს ორი დღე, [illegible] როსტოვი ჯრთიანათ მოწყვეტილია ბ[illegible]ოვს და პეტროგრადს. იქიდან მოსული ც[illegible]ბები ჩვენამდე აღწევს, როგორც მითქმა-მოთქმა და პორები.

დონის ოლქში კი მდგომარეობა ასეთია: აქაური მთავრობა ჯერ ისევ გამაგრებულია, თუმცა ბალშევიკების ლაშქარს ახერი იერიშები მოაქვს დასავლეთის [illegible] ჩრდილოეთის მხრიდან.

რუსეთის ქრონიკა.

შრომის ტრიბუნალი.

სახალხო კომისარების საბჭოს მიერ გამოცემულია დეკრეტი შრომის ტრიბუნალის დაარსების შესახებ. ამ დეკრეტის თანახმათ პეტროგრადში უკვე დაარსდა საოლქო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შრომის ტრიბუნალი, რომელშიაც საბჭოს წევრებთან ერთათ მონაწილეობას იღებენ პროფესიონალური კავშირების ცენტრალური ბიუროს წევრებიც. ტრიბუნალის დანიშნულება გარჩიოს და გადაჭრას უფრო მწვავე და სადაო—კითხვები, რომლებიც აღიძვრის ხოლმე ბაზეინებსა და ფაშერ შორის. ტრიბუნალი იმოქმედებს, სრულიათ დამოუკიდებლათ და მისი გადაწყვეტილება და დადგენილება უპაპელაციო ბრის, მისი განსაჩივრება არსად არ შეიძლება.

ფინლანდიის საკითხი.

დეკემბერში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ნაციონალურ საქმეთა კომისარის, ჯუღაშვილის მოხსენების თანახმათ გადაწყდა ფინლიანდიის საკითხი. კომიტეტის დიდი ხმის უმეტესობით აღიარებულ იქნა ფინლიანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და დამტკიცებულ იქნა დეკრეტიც ამ საგნის შესახებ. შემდეგ კომიტეტმა აირჩია საზავო დელეგაცია, როგორც მოკავშირე. ისე ნეიტრალურ სახელმწიფოებისათვის. დელეგაციაში მუშების წარმომადგენლებიც შევიდენ.

შავი ზღვის ფლოტის დემობილიზაცია.

შავი ზღვის ფლოტის ცენტრ. კომიტეტს, „ცენტროფლოტს“ გაყავს შემდეგი დემოკრატიული პროგრამა: ყველა ოფიცრები ადგილიდან გადაყენებულათ ითვლება. განთავისუფლებულ ადგილებს დაიკავებენ თვით მატროსების მიერ არჩეული პირები; ხოლო ყოფილ ოფიცრებიდან ისინი, რომლებიც არჩეულნი არ იქნებიან, ხდებიან უბრალო მატროსები და მატროსის მდგომარეობაში დარჩებიან.

ბეკრენევის კანდიდატურა დონზე მოდან.

სახალხო კომისარების საბჭომ ნება დართო ყაზახის მე 4 და მე 14 პოლკებს, რომ დონზე წავიდენ.

ურალზე ვისი გაბატონება ხდებაზე?

ქ. პერმიდან იტყობინებიან, რომ იქ გაიხსნა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საგუბერნიო სიეზდი, რომელზედაც გამოცხადდა 130 დელეგატი. აქედან 96 ბალშევიკია, 22 მემარცხენე ესერი, 4 მენშევიკი, 4 მემარჯვენე ესერი, 2 ანარქისტი და 2 იც უპარტიო. მენშევიკები და ესერები კრებიდან გავიდენ და მონაწილეობას არ იღებენ, რადგან სიეზდმა საბჭოთა ძალა უფლება სცნო.

ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხების სასარგებლოთ.

როგორც გავიგეთ, სახალხო კომისარების საბჭომ ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხების სასარგებლოთ 1,800,000 მან. გადასდო.

საზღვარ-გარეთ.

ამერიკის წარმომადგენლობა რუსეთში.

როგორც ვებინგტონიდან 15 დეკემბერს იტყობინებოდენ რუსეთში მომგზავრებიან ამერიკის წარმომადგენლები, როგორც დიპლომატიური, ისე სავაჭრო დანიშნულებით; მაგრამ ისინი არასგზით არ ჩაერევიან რუსეთის შინაურ საქმეში და ყველა პარტიებთან ერთნაირ დამოკიდებულებას დაიჭერენ.

სოციალისტი და რეაქციონერი.

უტოპიაა, სისულელე და დიდი სიბრიყვე სოციალისტების უთავბოლო როტვა-ლაქლაქი, თუ დიდი და პატარა არ იქნება, გლეხი და თავადი, მდიდარი და ღარიბი. ბატონი და მოსამახურე, ნასწავლი და უსწავლელი, ხელმწიფე და „ველიკი კნიაზები“,- ცხოვრებას რა ფასი ენება, ჩალად არ ეღირებაო.—

გოდებდენ ძველ დროს, ძველი მთავრობის მოტრფიალე ბნელეთის შვილნი.

—უტოპიაა, შეუძლებელი, ფანტაზია და ნაადრევი ბოლშევიკების მიერ აღიარებული სოციალიზმის განხორციელება.

—ბოლშევიზმი დემოკრატიის მოღალატეთ უნდა აღვიაროთ.

—ბოლშევიზმი კაცობრიობის დამღუპველად უნდა ჩათვალოთ.

—ბოლშევიზმი კონტრევოლიუციის გზის გამკვლევი ლოზუნგია.

—ბოლშევიზმი შავრაზმელობის საუკეთესო ნიადაგია.

—ბოლშევიზმი ანარქიას ხელს უწყობს, რევოლიუციას აფერხებს, თავისუფლებას ფრთებს აკვეცსო.

გაჰკიოდნენ ახალი ერის, ახალ მოძღვრების მოტრფიალე თავისუფლების შვილნი.

შეადარეთ ეს ორი ახალი და ძველი მიმართულების მიმდევარი, ეს ორი სხვა და სხვა მიზნით მოაზროვნე სოციალისტი და რეაქციონერი.

ორივე სოციალიზმს, გმობს, ორივე სოციალიზმისათვის მებრძოლთ ათახსირებს.

პირველი თუ ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს მოპირდაპირეზე, ნაკლებ მოქმედებას, ნაკლებ მღელვარებას იწვევს. იქნებ სიბრალულსაც კი, იმიტომ რომ მისი სისუსტე, უპრინციპობისა გამო, მისი გონება ერთხელვე ჩამწყვდეული ხავსით შებურულ დამყაყებულ ჩარჩოდგან ვეღარ განთავისუფლებულიყო, და რასაც უწვრთვნელი და განუვითარებელი პკუა უკარნახებდა, იმას ბრმათ გაიძახოდა.

მაგრამ სამაგიეროთ მეორე, ღრმათ აფიქრებს ადამიანს, რომ იგიგე სოციალისტი დემოკრატი—მებრძოლი ცდილობს მისივე იდეურ ამხანაგს, ხალხისთვის თავ განწირულს, ხალხის თვალში დაამცირონ, მოღალატე პიროვნებათ გამოიყვანოს, ცილის-წამების გვირგვინით დასჯილი ზედ-მეტ დასასჯელათ წარუდგინოს ბრბოს და თითონ ქება-დიდების გვირგვინით შეიმკოს თავი.

მაგრამ ვნახოთ, სიმართლე კიდევ როდემდის იქნება დევნილი. მალე თუ გვიან, ხომ მოგვევლინება ახალ ძლევამოსილ ცხოვრების ფერხულში ჩამბმელი, მოცეკვავე.

ანეტა კაპანაძისა.

მუშათა ცხოვრება.

სტაჭკის მუშები.

31 დეკემბერს 1917 წ. გაუქიდა ვადა სტაჭკის მუშებსა და პატრონთა შორის დადებულ ტარიფს. მუშათა კავშირმა გამოიმუშავა ახალი ტარიფი, რომელში-

დაც დანიშნულია სხვადასხვა ხარისხის მუშების ჯამაგირები 140—400 მანეთამდე და მიმართა სტამბის პატრონთა კავშირს წინადადებით გაემართათ მოლაპარაკება ახალი ტარიფის ცხოვრებაში გატარებაზე. პასუხის ვადა დანიშნული იყო 15 იანვარი. სტამბის პატრონთა კავშირმა გამოგზავნა პასუხით შემდეგი: სტამბის პატრონთა საზოგადო კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ ტარიფის ცვლილება შეუძლებელია და უარყოფს მას მთლიანათ". ამ დადგენილებით სტამბის პატრონთა კავშირი აცლის ნიადაგს რაიმე მოლაპარაკების გამართვას მუშების კავშირთან ტარიფის შესახებ. ამნაირათ პატრონთა კავშირი ითვლის მუშების გაფიცვას. ამავე დროს კი ზოგიერთი გაზეთების გამომცემლებმა განუცხადეს მათ მომუშავეებს, რომ ისინი აკმაყოფილებენ გაზეთზე მომუშავეების მოთხოვნილებას, მაგრამ მათსავე სტამბაში სხვა მუშების მოთხოვნილებას კი ვერ დააკმაყოფილებენ. ამით ისინი ფიქრობენ შეიტანონ განხეთქილება მუშათა წრეში, რომ ერთი ნაწილი გარიცხოს და მეორე კი არა.

შექმნილი მდგომარეობის განსახილველათ სტამბის მუშების გამგეობა იწვევს ოთხშაბათს საზოგადო კრებას. საზოგადო კრებამ უნდა გასცეს შესაფერი პასუხი პატრონთა ცბიერ გამოგონებას და დაუმტკიცოს მათ მთელი ძალა მუშათა ერთსულოვნებისა.

——

თფილისის ტრამვაის სახსნდახსნის გრება.

9 იანვარს ადგილობრივ კომიტეტმა მოიწვია კრება, რომელსაც დაესწრო მრავალი მუშები.

კრება გახსნა კომიტეტის მწევრთაგანმა და აღნიშნა: 1905 წლის რევოლიუცია 9 იანვარს პეტროგრადში, სადაც მუშები მოითხოვდენ თავისუფლებას, მარა მის მაგიერათ მათ ტყვიებით გაუმასპინძლდენ; იქ აუარებელი მსხვერპლი შეიწირა. მას შემდეგ მუშათა კლასი ემზადებოდა რევოლიუციის მოსახთენათ. შემდეგ ლაპარაკობს „ობორონცების ლიდერი ლ. დ. რომელმაც აღნიშნა ამ დღეს დღესასწაულ; იმ ამხანაგების მოსახსენებლათ, რომლებიც დაიხოცენ ამ დღეს, ჩვენი ვალია, რომ მათი იდეები განვახორციელოთ და თავიანთი დავალება ძველ წესწყობილებასი. დღეს უკვე არის თავისუფლება, მაგრამ თავისუფლების შესანარჩუნებლათ მოწვეული იყო დამფუძნებელი კრება, რომელშიაც უმრავლესობა სოციალისტები იყვნენ, რიცხვით 260, რომლებიც იყვნენ მუშათა ინტერესების დამცველნი, მხოლოდ 150 ბოლშევიკების მეთაურობით გარეკესო. მოუწოდა მუშებს, მხარი დაეჭირათ დამფუძნებელი კრებისთვის, როგორიც უნდა იყოს იგიო.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ბალშევიკი, რომელიც აღნიშნავს 1905 წლის 9 იანვრის ისტორიულ მსხვერპლს და აღნიშნავს მსხვერპლის ნაყოფს, [რომელმაც წარმოაშვა 1917 წ. რევოლიუციამ. ეგრამ ჩვენი ვალია მათი ანდერძის შესრულება, მთელი ბიუროკრატიის წეს წყობილების დასამარებაო. დღეს ამ დახოცილ ამხანაგების ლოზუნგებს იზიარებს არა მარტო რუსეთის მუშათა კლასი, არამედ მთელი ევროპის მუშათა კლასიო.

ჩვენი ვალია, მხარი დაუჭიროთ რუსეთის რევოლიუციას, მენშევიკ ესერები რგა თვის განმავლობაში ბურჟუაზიასთან ერთათ აწამოებდენ რევოლიუციას და ამით ვითომდა იცავდენ მუშათა კლასის ინტერესებს, რომლის განმავლობაში არც-ერთი საკითხი არ გადაუწყვიტეთ მუშათა კლასის სასარგებლოთო. და დღეს, ეს ვაჭბატონები, როდესაც ძალა-უფლება ხელში აიღეს მუშათა ხალდ თუა და გლეხთა საბჭოებმა, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს უნარი მუშაობის და ამჟერთეს დროში: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო!" მთელი ევროპის სოციალისტები ტაშს უკრავენ და გაიძახიან: გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციასა. მ. ს. და გლ. საბჭოებს მტერიც ბევრი ყავს როგორც ცნობილი კალედინ-კორნილოვი, აგრეთვე კავკასიის კოალიციონური კომისარიატი. ეს კომისარიატი, კონტრ-რევოლიუციონურ როლს ასწამებს: კადეტებთან და დაშნაკელებთან ადგენენ ნაციონალურ პოლკებს და რევოლიუციონურ რუსეთის ჯარს ფრონტიდან ერეკებიანო.

შემდეგ ლაპარაკობს ობორონცი ბ. ს. რომელსაც გაუგონია რევოლიუცია მხოლოდ წარმოდგენ სრულიად არ ქონია. მისი სიტყვიდან ლანდღვის მეტი არ ისმოდა რა, „დოკუმენტების" ძებნას მიჰყო ხელი, ჩვენ კი გვეგონა, რომ ის ახალ რამეს იტყოდა, მაგრამ იმდენათ დააბრმავა პარტიულმა ჟინიანობამ, რომ გინებით და უხეში სიტყვებით ბალშევიკებზე მიიტანა იერიში. ის აღნიშნავდა რომ დამფუძნებელი კრება განდევნეს ბალშევიკებმა.

შემდეგ ილაპარაკა პარტიის დეზერტირმა ჯუღელმა, როგორც სკამზე მჯდომს.

გადაიყვანა. ობორონცებს ორატორებს ვერ გაურჩევიათ, რომ „ესერები" როდესაც ჩვრნოვს თავმჯდომარეთ ირჩევდენ, მათ ბლოკი შეკრეს კადეტებთან და მხოლოდ მაშინ მიიღო ჩერნოვმა 260 ხმა წინააღმდეგ 150 ხმისა. მაშ ვის ამოურჩევია ჩერნოვი? მათ კიდევ ვერ გაურჩევიათ შავი თეთრისაგან, მათთვის სოციალისტია ყველა, ვინც ბალშევიკების წინამდეგ გაილაშქრებს, დამფუძნებელმა კრებამ უნდა დამტკიცოს ის, რაც საბჭოებმა გადაწყვიტა, ის საკითხები, და დეკრეტები, რომლებიც სახალხო კომისარ. გამსცეს, უნდა დამტკიცოს დაპფუძნებელმა კრებამ. და თუ ასე არ მოიქცევა დამფუძნებელი კრება, თავისთავად ცხადია, უნდა გაირეკოს. თქვენ, მენშევიკებო, ღალატობთ რევოლიუციას, იმ ამხანაგების იდეებს, რომლებსაც თქვენ იხსენებდით კრებებზედ. თქვენ ხომ არავითარი კავშირი არა გაქვთ პეტროგრადის მუშებთან, არ ცნობთ თქვენ საბჭოების ძალა-უფლებას, როგორც კალედინი არ სცნობს, თქვენ იცავთ მარტო დაშნაკელებს კადეტებს, ესერებს სახელი გაქვთ რ. ს. დ. მ. პ. თქვენ რუსეთინ საერთოთარაფერი გაქვთ. ახლა და ამოშალეთ ეს ხუთი ასო თქვენ პროგრამიდან. კრებებზედ სახელს ატარებთ სოციალისტისას და აკეთებთ კი სხვა რამეს, ასე ბრმა იარაღი ხართ ბურჟუაზიის და თქვენი ბელადების, რომლებიც თქვენს კისერზე დადიან. კმარა ამდენი მაჩანჩალობა. დაბრუნდით ინტერნაციონალის დროშას, ნუ გაითქვიფებით შოვინისტებში დრო არის დაუბრუნდეთ სწორ გზას და შეუერთდით იმ ჩვენ ამხანაგებს და აღმართეთ დროშა, წითელი და მხარი დაუჭირეთ ბოლშევიკებს ჩვენც მათთან ერთათ შეუდგებით იმას, რასაც აკეთებენ, ჩვენი ამხანაგები, ზურგშეგაქციით ჩვენ სულთამხუთავებს, რომლებიც ჩვენი სისხლით ჯერან მაძღარი აი ამისთვის საჭიროა მხარის დაჭერა სახალხო კომისარიატის.

მოგაგონებთ, ამხანაგებო! ნუ გადასცდებით სწორ გზას სოციალიზმისას და ხელი-ხელ ჩაკიდესული გაეყვეთ მესამე ინტერ-ნაციონალს. გაუმარჯოს მუშათა-სალდათთა და გლეხთა საბჭოების ძალა-უფლებას!

ვ. რ—აძე.

პროვინცია.

ს. ერკეთი (გურია). ერკეთი წარმოადგენს აღმოსავლეთ გურიის რაიონს, რომლის მდებარეობა მთა გორიან ადგილებისგან შედგება. ეს საზოგადოება 1903 წლიდან ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში და 1905 წელში კი თუ პარველი არა, მერე ადგილი მაინც ეჭირა ჩოხატაურის რაიონში. სანამ არჩევნების დღეები მოახლოვდებოდა, მენშევიკები და ბალშევიკები ერთათ ვმუშაობდით. მაგრამ შემდეგ ისე გამწვავდა კითხვები ჩვენ შორის, რომ იძულებული გავხდით, განვშორებოდით ერთმანეთს. განშორებისას ამ საზოგადოებაში ჩვენ ხელში იყო ძველი ორი ყუელაზე უფრო გავლენიანი იარეკის უმრავლესობა.

დამფუძნებელ კრების არჩევნებზე 173 ხმა მივიღეთ რადგან ესენი უმეტესათ პარტიის წევრები იყვენ.

3 იანვარს ჩვენი ორგანიზაციის მიერ იყო საზოგადო კრება მოწვეული სოფ ბეოლიეთში, რომელზედაც გამოცხადდენ არა ნაკლები ასი პარტიის წევრი და რამდენიმე მათი მიმდევრები. იყო სხვა და სხვა სოფლებიდან. 1. იანაულიდან 2. ანჯეთიდან 3. ზედა და ქვედა ერკეთიდან 4. შუბნიდან 5. ბეოლიეთიდან 6. ხევიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გარდა ორი სოფლისა, იაჩეიკები ყოველგან არსებობს და ამ ორ სოფელში კი ჩქარა მოეწყობა. ხევის ამხანაგებმა უკვე აირჩიეს იაჩეიკის მომწყობი ბიურო, უსურვებთ მათ ენერგიულ მუშაობას.

მოხსენებას აკეთებს გ. ც. კ. პბ. გრ. მგალობლიშვილი; ილაპარაკა დღევანდელ მომენტზე გრ. როგავამ. შემდეგ გადვედით ორგანიზაციულ კითხვებზედ.

შემდეგ დასვა სასურსათო საკითხი, რომელიც ჩვენს არაინში გამწვავებულია. გაირჩა ჩვენი გაზეთის ფონდის კითხვა, მისი გამოწერა და პასუხისმგებელი კორესპონდენტის დამტკიცება, რაც დავალეს ამხ. გ. მგალობლიშვილს.

ქველი ბალშევიკი.

სოფ. ბურნათი (გურია) როგორც სხვა გურიის სოფლებში, ისე აქაც არსებობს მენშევიკების ორგანიზაცია, რომელნიც სულ ცოტას ზრუნავენ წევრების გათვითცნობიერებაზე, უმთავრესათ კი ბალშევიკების ლანძღვას ასწავლიან. არ ვიცი სხვა სოფლებში როგორ არის საქმე, მხოლოთ აქ კი მოხუცებულ გლეხებში უამფლობა გამეფებული, მოსავლის იმედი არ აქვთ: სულ ხმირათ გვიგონებთ მოხუცებულებში— დაგვღუპა მენშევიკების პარტიამ, რუსეთის ქე ჩამოგვაშორა და აწი ძმის სისხლის საღერღლათ თბილისს გვიბარებენ. აღსანიშნავია ის, რომ მენშევიკებმა ოზურგეთის მაზრიდან 200 კაცისგან შემდგარი მილიცია მოითხოვეს თბილისის დასაცავათ, და ამან სულ დაუკარგა ხალხს მენშევიკების იმედი. ახალგაზრდები კი უფრო იმედით შეჰყურებენ მომავალს და ბევრი მათგანი ბალშევიკებს ეხმრობა. ხოლოთ საკუთარ ორგანიზაციის უქონლობის გამო, მენშევიკებთან ერთათ მუშაობენ. კარგი კი იქნება, თუ თბილისის კომიტეტი გამოგზავნის ერთ ლეკტორს გურიაში, რომლის პროპაგანდა აგიტაციისათვის კარგი ნიადაგია.

პატარა ტენნიკი.

საჩამია სერი (გურია) 26 დეკემბერს მოხდა მიტინგი, თუმცა ბ. მენშევიკები ამგვარ მიტინგს უძახიან პარტიულ კრებას. საკითხი იყო შემდეგში: უნდა ურჩიოთ მილიციონერებს მენშევიკები ამტკიცებდენ, რომ მილიციონერები უნდა იყოს რჩეულნი მენშევიკი. ბოლშევიკი არამც და არამც არ ეთანხმებოდენ, ორორმ რეგოლიუცია დაიცვა ბოლშევიკებმა. ასეთია ეს პკუის კოლოფები, დომენტი თავის ცხვირის წინ ვერაფერს ხედავენ და განგებ არ უნდათ დაინახონ. ასეთი არის თუ ისე. წყალი ყველი შეუდგება ფის ქვეშ და შემოდგომის ბუზებისავით იკბინებიან.. ამავე დღეს გაიმართა წერილი მოდგენა. წარმოადგინეს „ღელეკის ქალის გულჯავს" და „მათიქო", რაც ლხინი დაძველებულია და ამ დროს არ ეწეოდა რება. შესასვლელი ფასები ძლიერ ძვირი იყო, 1-4 მ. თუმცაღა სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ იყო. გამართულ, მარა ამგვარი ფასები სოფლისთვის ძლიერ გასაჭირი არის. იყო ჯერეთვე ამერიკული ტორგი. 15 მ ნივთი გაიყიდა 86 მ. შემდეგ გაიმართა ვაუდევილი. ვახშმის შემოსავალიც უნივერსიტეტის სასარგებლო იყო, მაგრამ უკეთესი ამგვარ ვახშმებს თავს დანებებენ, ვინაიდან ვახშამი მოყვა რევოლვერებს, სროლა და ჩხუბი, რა ცარა სასურველია.

ირაკლი საჯავახელი

ასკანა. (გურია). სოფელ ასკანაში (გურიაში) მოხდა სარაიონო კრება. ხალხი ბლომათ დაესწრო მოხსენებით ორატორი გრიგოლ კოპალაძე და გაიხსნა კრება. ილაპარაკა ცნობილმა ორატორმა, რომელიც თვის სიტყვებით კარგად ხალხს მენშევიკების პარტიას.

ბალშევიკებმა დაიკრეს ბრელი ქვეყანა, და გამოიწვიეს სამღვდელ ქ ომის. მას შემდეგ მოყო ხელი პროვოკაციულ სტყვებს და ბძანა, რომ [თათარი ერი თვეში აქ იქნებაო! სულყველას დაეზიანა. ხალხი ისე დაშინდა, რომ ბევრი მათგანი ტიროდენ. შემდეგ ორატორმა მოუწოდა ხალხს ჩაწერილიყვნენ მილიციაში ქ. თბილისში, იმიტომ რომ ბალშევიკები მოადგ ნ თბილისის დასაბევდაო და დავიცვათ თბილისი ბალშევიკებისგანო. ბევრი მენშევიკები ჩაწერა მილიციაში; შემდეგ მ ნ გამოაცხადა, რომ დეზერტიორები ვინც არიან, ისინი ჩაეწეროს ქართულ პოლკშიო და რომ მილიც არიან პოზიციიდან მოსულნი, ისინი ისევ წავიდენ პოზიციაზეო. ბალშევიკები ასკანაში ბევრი არიან, მაგრამ საპატრო ორატორი, რომ ხალხს გააცნოს ბალშევიკების პროგრამა აქ ხალხს გონია, რომ ბალშევიკები მოსულ ართველ ხალხს.

ჯარის კაცი ჭიაურელი.

განცხადება.

რ. ს.-დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (ბალშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი ცნობებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ ღღე: 1) ქალაქის ფოთიაქის გამგე ფილიპე ცხოშელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამო 6 საათამდე ჯაბა მაჭულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.

კანტორა პროფესიონალურ კავშირის „პროლეტარები ნიმისი" ღიაა დილის 12 საათიდან ნაშუადღეღის 2 საათამდე საღამოობით — 6 საათ. 9 საათამდე. ადრესი: პეტრე დიდის ქუჩა № 1 პროფ. კავშირთა სადგომი, ოთახი